რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

ქართული თეატრი
კვირას, 17 ნოემბერს, 1896 წელს,
დანიშნულია
ვალერიან გუნიასი
უკანასკნელი, გამოსათხოვარი წარმოდგენა:
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან: ქალბ. მ. საფაროვისა, ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა და ბ-ნთ კ. ყიფიანის, ვ. აბაშიძის, კ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:
I
ჭოლუკი და კორროლი
დრამ. ეტიუდი ერთ მოქმ.
II
პირველი ბუზი
კომ. 3 მოქმ. ვ. ველიჩკოს პიესიდგან გადმოკეთებული.
III
ადვოკატთან
ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი. რეჟისორი: ვ. ალექსი-მესხიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. ზრლოტასჯვიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. ზრლოტასჯვიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

13 ნოემბერი.

**ვარშავა.** გარდაიცვალა ცნობილი ეკონომისტი, თავს-მჯდომარე მრავალთა სხვა და-სხვა გვარ დაწესებულებათა, ანტონ ნაგურნი.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ ჯემსონს, ავათმყოფობის გამო, უექველია, ამ დღეებში გამოუშვებენ საპატიმროდამ.

**სტამბოლი.** 11 ნოემბერს თათბირი ჰქონდა იმ კომისიას, რომელმაც უნდა შემოიღოს რეფორმები ოსმალეთის ჟანდარმერიაში კუნძულ კრიტოსზე. ოსმალოს დელეგატები არა ყაბულობენ, რომ ჟანდარმებათ უცხოელებიც იყვნენ დანიშნულნი. ხვალ თათბირის პროტოკოლი წარედგინება განსახილველად სახელმწიფო საბჭოს. ამავე საგანზედ ექმნებათ თათბირი ელჩებს.

**თეირანი.** პირველმა მინისტრმა თხოვნა მიართვა შახს სამსახურიდამ გადადგომაზედ. თხოვნა შეწყნარებულ იქმნება. მუში-ედდაულებ დანიშნულია გარეშე საქმეთა მინისტრათ; მუყაბერ-ედდაულებ—შინაგან საქმეთა მინისტრად; მუფეთ-ედდაულებ—სამხედრო მინისტრად, და აბბას—მირზა-მულქარა, ბიძა შახისა, სასამართლოს მინისტრად.

**პეკინი.** ვაშინგტონის ელჩი იანგიუ გადაჰყავთ პეტერბურგს.

**იოკოგამა.** სეულიდამ იტყობინებიან, რომ რამდენიმე ოფიცერი კორეისა დააპატიმრეს, რომელთაც ბრალდებათ შეთქმულობა იმ აზრით, რომ ძალ-დატანებით დააბრუნონ მეფე თავისს სასახლეში. რუსის სამი ოფიცერი 80 მატროსით, ერთის ზარბაზნით. გუშინ შევიდნენ სეულში.

**ბომბეი.** როგორც დეპეშით იტყობინებიან რაზულ-პინდიდამ, იქ მომხდარა არეულობა, რომელშიაც მიუღია მონაწილეობა 200 ჯარის კაცს. დუქნები დაურბევიათ; ერთი პოლიციელი მოუკლავთ; რამდენიმე კაცი დაუჭრიათ.

### გუშინდელი დეპეშა

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცანი მარიამ და ალექსანდრა თეოდორეს ასულნი, დიდნი მთავარნი და სვიტა, მიბრძანდნენ 3 საათზე სმოლნი ინსტიტუტში, რომელიც ამ დღეს დღესასწაულობდა ასის წლის არსებობის იუბილეის. მათი უდიდებულესობანი მიიღო გრაფმა პროტასოვ-ბახმეტევმა. სააქტო ზალაში მათ უდიდებულესობათ მოისმინეს მოსწავლე ქალების კონცერტი. ამ დროს ერთმა მოწაფემ მიართვა ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს ყვავილების თაიგული, სხვა მოწაფეებმა შეამკეს ყვავილებით ბიუსტი იმპერატორის პავლე 1 მეუღლისა მარიამ თეოდორეს ასულისა. ბოლოს მოწაფეთ იცეკვეს გავოტი და მენუეტი პავლე 1-ის დროინდელ ტანისამოსებში.

6 საათზედ მათი უდიდებულესობანი დიდ მთავრებთან და სვიტასთან ერთათ, წაბრძანდნენ კონსერვატორიის გახსნაზედ დასასწრებლად, შებრძანდნენ კონსერვატორიის ეკკლესიაში, სადაც დაუხვდა მღვდელი; აქედამ წაბრძანდნენ პატარა საკონცერტო ზალაში, სადაც მათ უდიდებულესობათ წარუდგნენ კონსერვატორიის მმართველნი და სამუსიკო საზოგადოების წევრნი. როდესაც მათი უდიდებულესობანი დაბრძანდნენ, სამუსიკო საზოგადოების დირექტორმა კიუი-მ წაიკითხა მოკლე ისტორია სამუსიკო საზოგადოებისა და კონსერვატორიისა, რის შემდგომ მოწაფეთა ორკესტრმა და ხორომ შეასრულეს, პროფესორ გალკინის ლოტბარობით, რუბინშტეინის უვერტიურა, განგებ ამ შემთხვევისათვის დაწერილი. მათი უდიდებულესობანი ამის შემდეგ წაბრძანდნენ. მოწაფეთ დიდის აღტაცებით გააცილეს.

გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი რესკრიპტი ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულისა, ბოძებული ყოვლად სამღვდელო პალლადისადმი, პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტისა, ამასთანვე წარეგზავნა მას წყალობა—კვერთხი.

**ვენა.** 12 ნოემბერს სერბიის კოროლი წაბრძანდა რომს.

**სტამბოლი.** თურქებს კვლავ აპატიმრებენ. დაპატიმრებულნი არიან მრავალნი პირნი სასულიერო წოდებისანი. საზღვაო ცეცხლის მქრობელ რაზმის ოფიცერი, რომელსაც ცოლად სომხის ქალი ჰყავნდა, გაიქცა საზღვარ გარედ.

# ახალი ამბავი

*** რკინის გზის გამგეობას განუზრახავს ტფილისის და ბაქოს სადგურბეი და სადგურის მახლობლად ლიანდაგი ელექტრონით გაანათოს.

*** ფოთის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ნიკოლაძემ მიჰმართა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს და სთხოვა, დაგვეხმარეთ სამაგალითო ვენახების გაშენებაში.

საფილოქსერო კომიტეტმა დაავალა საქარის სამაგალითო ბაღ-ვენახის მმართველს აგრონომ სტაროსელსკის გამოიკვლიოს ფოთის მიდამოებში ნიადაგი, და აწარმოვოს საქმე სამაგალითო ბაღ-ვენახების გაშენებისა.

*** ქუთაისის გუბერნიაში გასინჯეს და დააფასეს ქარხნებისა და სხვა სავაჭრო სამრეწველოს შენობანი და აღმოჩნდა, რომ ყველა შენობა ღირს 1,039,739 მანათი.

*** ამ უკანასკნელ დღეებში სახალხო მატარებელი ბათომიდგან, ფოთიდგან და ქუთაისიდგან ტფილისში მოსვლას იგვიანებს. ამის მიზეზი, როგორც ჩვენ გვატყობინებენ, წვიმებია ლიხის მთის იქით. წვიმებს წიფასა და რიონის სადგურებს შუა რამდენსამე ალაგას რკინის გზის ლიანდაგი წაუხდენია. რკინის გზის გამგეობა ყოველსავე ღონისძიებას ხმარობს, რომ ნიაღვარმა დროებითი ხიდები არ წაიღოს და ამის გამო ბათომსა და ტფილისს შუა არ მოისპოს რკინის გზის მიმოსვლა.

*** იმ მასწავლებელთ, რომელთაც ჰსურთ შეისწავლონ რომელიმე დარგი მეურნეობისა და მრეწველობისა, უფლება მიეცემათ 1897 წლიდამ შევიდნენ ხოლმე სამეურნეო სკოლებში, რომლებიც ეკუთვნიან სამეურნეო სამინისტროს.

*** პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, რომ პროექტი რეფორმებისა გზათა სამინისტროში იქმნება შეტანილი განსახილველად სახელმწიფო საბჭოში დეკემბრის პირველ რიცხვებში.

*** „ტფილისის ფურცელს“ სწერენ პეტერბურგიდამ, რომ სახელმწიფო საბჭომ მოიწონა ის აზრი, რო 1897 წლიდამ ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში დაარსებულ იქმნას თანამდებობა ინსპექტორისა.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, აღძრულია მოსაზრება, რომ სასმელების ყიდვა ჩრდილო-კავკასიაში და ამიერ-კავკასიაში 1897 წლიდამ ხაზინამ აწარმოოს.

*** მოკლე ხანში, როგორც იუწყება გაზეთი „კასპი“ ბაქოში ააშენებენ ფრანგების ეკკლესიას. გეგმა ამ ეკკლესიისა უკვე დაუმტკიცებიათ.

*** ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის საინტერესო იქნება გაიგონ, რა ამინდებია ეხლა ტფილისში. აგერ მესამე დღეა, რაც წვიმა და თოვლი მოდის დილით-საღამომდის, საგრძნობლად აცივდა და ქუჩებში გაუვალი ტალახი და ჭყაპია.

*** ოზურგეთიდამ: არ იქნა და არ გველირსა აქაურ ნოქრებს კვირაუქმეში შესვენება. მართალია, ითქვა ერთხანად, რომ ვაჭრებმა კვირაობით არ უნდა ივაჭრონო. ჩვენც გვეგონა, რომ აი ახლა კი დავისვენებთ-თქო. მაგრამ ვაჭრებმა სხვა ხერხს მიჰმართეს. კვირაობით დაჰკეტენ დუქნებს და მხოლოდ ერთს პაწია კარს ღიას გაუშვებენ, ვითომ ვაჭრობა-კი არ არის და ისთე კარი დარჩა ღიაო. გარნა, აბა შაიხედეთ ამ ვითომ დაკეტილ სავაჭროში და ნახავთ, რომ ნოქრები ყველანი აქ მომწყვდეულნი არიან და თავ-თავის საქმეს აღგანან. ისევ ის არ გვერჩივნა, კარები გაეღოთ, დღის ნათელს მაინც დავინახავდით.

*** ქუთაისი: წარსულ კვირას ქუთაისში ისეთი კარგი ამინდები იყო, რომ ზაფხულის ტანისამოსით სეირნობა შეიძლებოდა. ეს მეორე დღეაკი ისეთი სიცივე და წვიმა დაიწყო, რომ კაცი ცხვირს ვერ გამოჰყოფს გარეთ. ძალიან შიშობენ, ვაი თუ წვიმებმა უმატოს და შარშანდელი დღე დაგვადგესო.

*** გაზ. „ნიუ-იორკ ჰეროლდი“ იუწყება: ედისონი დარწმუნებულია, რომ რენტგენის მიერ აღმოჩენილ სხივებით უსინათლოთა მორჩენა შეიძლებაო, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვალის ნერვი დაშავებული არ არის. ედისონმა ორი უსინათლო კიდევაც მოარჩინა. ამ ჟამად ყველა საქმეს თავი დაანება და ამ საქმეს იკვლევს.

*** ინგლისურ ჟურნალ „Folklore“-ის ამ წლის ივლისის ნომერში დაბეჭდილია ლექცია, წაკითხული ბ. ფრედერიკ კონიბიარის-მიერ „სიბრძნე ბალავარის“ შესახებ. ბ. კონიბიარს ხელთ არა ჰქონია მთელი გამოცემა „სიბრძნე ბალავარისა“ და უსარგებლნია მხოლოდ იმ რამოდენიმე ადგილით, რომელიც გადათარგმნა პროფესორმა მარმა. ლექტორს მოჰყავს ქართული და სომხური ვარიანტები, ადარებს მათ ერთმანერთს და ჰპოულობს ქართულს უძველესად; ამტკიცებს აგრეთვე, რომ ბერძნულად გადაუთარგმნია ქართულიდამ ათონელ ქართველ ბერს წმ. ექვთიმეს, რადგანაცო, როგორც სჩანს, წმ. ექვთიმეს ზედ-მიწევნით სცოდნია ბერძნული ენა და ბევრი სხვაც უთარგმნია ბერძნულად და თვითონაც უწერია. ლექციის დასასრულ კიდევ იმეორებს, რომ «სიბრძნე ბალავარისა» გადათარგმნილია ქართული ენიდამ ბერძნულად და ბერძნულიდამ კიდევ სხვა ენებზედ, რომელზედაც კი არის თარგმანი.

*** სოფ. ჰატარძეული. დადგა გიორგობისთვე და ქორწილებიც დაიწყო. მაგრამ ისე მრავალი ქორწილები ვერ არის წრეულს, როგორც კვლავ ყოფილა. ამის მიზეზი ულვინობა გახლავთ. სოფელში გლეხთაგანს არავის უწამლია თავის ვენახისათვის. ეტყობა ან მაგალითი არ უნახავთ ნაწამლის ვენახის სარგებლობისა ან ჩამგონებელი არა ჰყავთ. ვერც პური მოგვივიდა წრეულ ბლომად. ზოგთ ამ თვის გასვლამდე არც კი ეყოფათ და უნდა იყიდონ ზამთრის საკვები პური. აი ამ მიზეზით წრეულს ქორწილებიც ცოტა იყო. გლეხს თუ პური და ღვინო არა აქვს ქორწილში, იგი რიგიან ქორწილს ვერ გადაიხდის, რადგან წესად აქვთ, რომ სამი დღე და თითქმის სამი ღამეც უნდა სვან და სჭამონ. ამ ულვინობისა გამო, ერთ ოჯახში, ცოტას გადარჩა, უბედურება არ დატრიალდა. მეფის სახლითგან ურმით მოსაკითხი (ძროხა, ცხვარი, პური და ღვინო) გაეგზავნათ დედოფლიანთას საგარეჯოში. იმათ ღვინო ეცოტავნათ (მოსავალი არ იყო და მეტს საიდგან გაგზავნიდნენ) და დაეწყოთ მეურმისათვის ლანძღვა და ჯავრობა: უკანვე წაიღეო. შეჰყოლოდნენ ერთმანეთს და მეურმესათვის ძალიან ეცემნათ. მეურმე მეფის დაქირავებული კაცი იყო და რო სცემდნენ, რას ემართლებოდნენ. მერე, როცა მეფე მივიდა მაყრებით და ქალი წამოიყვანა, დედოფალს ძმაც გამოჰყვა მაყრად. მივიდნენ თუ არა შინ, გათენების სამს საათზედ, საიდგანღაც გაჩნდა ჩუმად ნაცემი მეურმე, მიეპარა დედოფლის ძმას და თავში კეტი დასთხლიშა. ეს ისე უცბად და მოხერხებულად მოხდა, რომ მაყრებმა მხოლოდ ყვირილზედ გაიგეს, რაშიაც იყო საქმე. მეურმე დაიმალა; მხოლოდ პატარძალს შიშით გული წაუვიდა, გადა-

## თეატრის მატიანე

### ქართული თეატრი.

დღეს ცოტათი დაგვიანებული იქნება წარსულ კვირის წარმოდგენაზე baასი, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენ პირობას ვასრულებთ და ამ ხანად „ციმბირელზე“ ჩამოვაგდებთ ბაასს. ავ. ცაგარლის პიესებში „ციმბირელს“, ჩვენის აზრით, მეორე ადგილი უჭირავს, „ხანუმას“ შემდეგ. ჩვენ არ გამოვუდგებით პიესის გარჩევას, რადგან ამ პიესაზე ბევრი რამ თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენ გვსურს თვითონ წარმოდგენაზე ჩამოვაგდოთ სიტყვა. ჩვენდა სასიამოვნოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც წინა კვირის წარმოდგენა, აგრეთვე გუშინ-წინდელიც, ბევრად განირჩეოდა წინანდელ წარმოდგენებისაგან. ჩვენ არ გამოვუდგებით მიზეზების გამოძებნას, ხოლო აღვნიშნავთ ამ გარემოებას, როგორც სასიამოვნო მაგალითს.

„ციმბირელის“ როლს ასრულებდა ვ. გამყრელიძე და მშვენივრადაც ჩაატარა თავის როლი, განსაკუთრებით ორს უკანასკნელს მოქმედებაში ღონივრად დაასურათა შებღალულ ადამიანის სულის მდგომარეობა; ამ ადგილებში გამყრელიძე შეუდარებელი იყო: გარეგნობაც, გრიმი და ხმაც ხელს უწყობდა „ციმბირელის“ როლისათვის.

ვ. აბაშიძე ჩვეულებრივად საუცხოვო იყო მაზუთიანის როლში და პირველ მოქმედებიდან მოყოლებული უკანასკნელამდე სრულად და უნაკლოდ გაატარა თავისი როლი, იმ ადგილებშიაც არ ულალატნია თავის აზრისათვის, სადაც ავტორის წყალობით მაზუთიანს ფერ-უმარილი აკლია და სერიოზი ხასიათი მაზუთიანისა, ნება-უნებლიეთ, უადგილო სიტყვა-პასუხების წყალობით, სიცილს იწვევს მაყურებლებში.

ბ-ნი გედევანოვი პეტუას როლში კარგი იყო და ბევრსაც ცდილობდა, რომ დარდიმანდს ბიჭს დამსგავსებოდა და ჩვენის აზრით ეს ნამეტანი ცდა და წადილი თუ არას აფუჭებდა, საქმეს მაინც ცოტას შველოდა. მომეტებული ცდაც, როგორც უყურადღებობაც, ხშირად შთაბეჭდილებას აფუჭებს, ისევ ის სჯობია არტისტი, რაც შეიძლება მომეტებულად მარტივი და უბრალო იყოს როლების დასურათებაში.

ბ-ნი კანდელაკი ჩვენის აზრით ყველას სჯობდა თავის პატარა როლში. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ შემთხვევას და სულით და გულით ვუსურვებთ ბ-ნ კანდელაკს შემდეგშიაც ასე ხელოვნურად თამაშობას. კანდელაკი თითქოს ოსეფას ტყავში ჩამძვრალა და სული და სისხლი ჩაუსახიაო ცხოვრებისაგან შეშინებულის და კურდღელივით მფრთხალის პატარა ვაჭრისა. ყოველი სიტყვა და ნაბიჯი, მიხვრა-მოხვრა და თავის დაჭერა ბ-ნ კანდელაკისა ცხოველი და ხელოვნურად მართალი იყო.

ახალგაზდა მოთამაშეებზე ჯერჯერობით ვერას ვიტყვით. ქ-ნ გარგარელს ვურჩევთ ყურადღება მიაქციოს თავის დაჭერას სცენაზე და ესტეტიურ მიხვრა-მოხვრას. სცენაზე თავისუფლად და თამამად თავის დაჭერა, ვინ ამბობს, ძრიელ კარგია,

ვარდა გულ-ალმა და, რის ვაი-ვაგლახით, მოასულიერეს. კინაღამ ხანჯლის ტრიალი გაიმართა, მაგრამ ზოგიერთის წყალობით ხალხი მალე დამშვიდდა და შეუდგა ქორწილის ლხინს.

ეს მაგალითი ცხადად გვაჩვენებს, რომ ხალხს შთაგონება აკლია იმათგან, ვინც მოვალენი არიან. მეურმე რა დამნაშავე იყო, რომ სცემდნენ და მეფეს ვალში ხომ არ ჩააგდებდნენ ღვინის გულისათვის. იმის ვენახში იმაზედ მეტი თუ-კი არ გამოვიდა, რა ექნა?!.

*** ფოთიდან გვწერენ: აქ ბევრს ლაპარაკობენ გრიგოლ ლამბაროვზე, რომელიც ორ კვირაზე მეტია, რაც სადღაც დაიკარგა და დღემდე ვერსად უპოვნიათ. ლამბაროვი ამ ხუთიოდე წლის წინად შესანიშნავი ვაჭარი იყო და ყველასათვის სასიამოვნო კაცი; ბოლოს რაღაც უსიამოვნებისა გამო საცოდავი ჰკუაზე შეირყა და ვინ იცის სად არ დახეტიალობდა, ხან გორში ავიდოდა, ხან ტფილისში და ხან ფოთში ამოვიდოდა თურმე. ჯერ შედარებით ახალგაზდა კაცი იყო. ეხლა მისი ნათესავები თავ-გადაგლეჯით დაეძებენ საცოდავს, მაგრამ ნათქვამია: «წამხდარსა საქმეს რას არგებს, მერმე-ღა თითზე კბენანი»-ო, ამის არ იყოს, ეხლა რაღა ეშველება, რომ დროზედ ვერა იღონეს-რა და საცოდავს ვერ უპატრონეს.

*** ქუთაისიდან გვწერენ: ამ თვის 6-ს, ღამის ორ საათზედ ცეცხლი წაეკიდა ლუკა კუპრაძის სახლს, რომელიც დაზღვეულ იყო 4000 მანათად.

*** ფოთიდგანვე: ამას წინად აქაურმა ქალაქის საბჭომ აირჩია თავმჯდომარის თანაშემწედ ივანე გრიგოლის ძე ჯალალოვი, რომელიც უმაღლეს მთავრობისაგან უკვე დამტკიცებულ იქმნა ამ თანამდებობაზე და ეხლა ფიციც მიიღო. ფოთელები ჯალალოვს კარგად იცნობენ, რადგან დიდი ხანია, რაც აქ სცხოვრობს, და ყველას იმედი აქვს, რომ ქალაქის საქმე ეხლა უკეთ წავა, რადგან ქალაქის თავს ნ. ი. ნიკოლაძეს ეხლა უფრო მეტი მოცლა ექნება და უეჭველია ჯალალოვი შეიძლებს მის თანაშემწეობას და გამგეობის საქმეში მაინც მოშეტებულს წეს-რიგს შეიტანს.

*** იქიდანვე იწერებიან, რომ 12 ამ თვეს რკინის გზის მატარებლით ჩამობრძანებულა ფოთში ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი, რომელსაც ადგილობრივ დაუთვალიერებია სასულიერო სკოლისათვის მიჩნეული ალაგი. დიდი ხანია ფოთში გადმოტანას აპირებდენ სასულიერო სკოლას, და ეხლა როდესაც სენაკში სკოლა სულ ერთიანად დაიწვა, ფოთელებს იმედი აქვთ, რომ ეს საქმე მათთვის სასურველად გადაწყდება, მით უფრო რომ ფოთი, დიდს შემწეობას ჰპირდება ხსენებულ სკოლას ადგილის დათმობით თუ ფულით დახმარებით.

*** დიდი ლაპარაკი გამოიწვია ბერლინში ბავარიის პრინცის ბრძანებამ, რომელმაც გააუქმა სამხედრო სასამართლოს ერთი გარდაწყვეტილება დუელების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, ვინც დუელზედ უარს იტყვის სამხედრო სამსახურიდგან უნდა გამოირიცხოსო. პრინცმა, როგორც ვსთქვით, ეს განჩინება გააუქმა და ამგვარად ამიერიდგან ბავარიის ჯარში დუელი მოისპობა.

*** საკვირველი კანონი. პროვიდენსიაში (როდ-ეილანდის შტატში) განზრახვა აქვთ გამოსცენ კანონი, რომლის ძლითაც, ყველა, ვინც ვაგონისა ან ომნიბუსის იატაკზედ დააფურთხებს 20 დოლარი ჯარიმა გადახდება (26 მანათი და 77 კაპ.).

## რკინის გზის ამბები.

13 ნოემბერს ტფილისის სადგურზედ შემდეგი ამბავი მოხდა. რკინის გზის მოსამსახურე დავით თომაშვილი, გორის მაზრის სოფ. სკრას მცხოვრები, მატარებელს ქვეშ მოჰყვა, რომელმაც ორივე ფეხი მოსწყვიტა, მუხლებ ზემოთ. დაშავებული რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს. საბრალო ორის კვირის ნაქორწინევი ყოფილა.

ამიერ კავკასიის რკინირს გზის მმართველობამ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა სადგურების უფროსებს: ყველა შტატის მოხელეს, ვისი ჯამაგირიც არ აღემატება წელიწადში 360 მანათს, ფულით დახმარებას აღმოუჩენენ მხოლოდ ცოლის ავადმყოფობისა და შვილის მონათვლის დროს. ცოლის ავადმყოფობა უნდა იყოს შემოწმებული ექიმის მიერ, ხოლო შვილის მონათვლა აღნიშნული უნდა იყოს მეტრიკის მოწმობით.

ამას რკინის გზის მმართველობა დასძენს, რომ სხვა შემთხვევაში მოხელის თხოვნები შემწეობისათვის სრულიად უყურადღებოდ იქმნებიან დატოვებული.

## თეატრის მატიანე.

ოპერა. სამშაბათს, 12 ნოემბერს, „აიდას“ მაგიერ, ქ. პიცეგალლის ავადმყოფობის გამო, წარმოდგენილ იყო გუნოს ოპერა „ფაუსტ“-ი. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო, თუმცა ამ დღისათვის ბილეთი ბევრს ჰქონდა ნაყიდი, ხოლო „ფაუსტზე“ დარჩენა არ ინდომეს და უკან დაბრუნდნენ. ამის მიზეზი ის არის, რომ საზოგადოთ ჩვენში „აიდა“ უფრო უყვართ და ამას გარდა—ეს უმთავრესი მიზეზია—ისიც, რომ „აიდაში“ იტალიელი არტისტები მღერიან და ამ მოკლე ხანში ამათ უფრო იჩინეს თავი, ვიდრე ოპერის სხვა არტისტებმა.

გუშინწინდელი წარმოდგენა «ფაუსტისა» არ იყო ისეთი, როგორიც მოსალოდნელ იყო სახელმწიფო ახალ თეატრის დირექციის დასისაგან. წინა წლებში, კერძო ანტრეპრიზის დროს „ფაუსტი“ უკეთესად შეუსრულებიათ. მართალია, დეკორაცია და კოსტიუმები მშვენიერები არის, ორკესტრსა და ხოროსაც არა უშავს რა, თვითონ გუნოს მუსიკაც ხომ საუცხოვოა, მაგრამ ყველა ეს საკმარისი არ არის, თუ მომღერალნიც შესაფერები არ არიან, მით უფრო, რომ ეს ოპერა ტფილისელებმა თითქმის მთლად ზეპირად იციან.

ამ საღამოს სხვებზედ უკეთესი იყო მარგარიტას როლის ამსრულებელი ქ-ნი მარშადი. თავისი პატარა, მაგრამ ნაზი და სასიამოვნო ხმით კარგად სარგებლობს და ზოგიერთს ადგილებში იგი ძალიან კარგი იყო, მაგალ., მესამე მოქმედებაში, ძვირფასის ნივთებით რომ ირთვება და სარკეში თავისს თავს ეარშიყება; აგრეთვე უკანასკნელს მოქმედებაში მშვენივრად შესრულა არია «ნება მიბოძეთ». ბ. გორდი მშვენივრად და საუცხოვოდ თამაშობდა მეფისტოფელის როლს, მაგრამ ხმა თითქმის აღარა აქვს ამ არტისტს და ოპერაში ხომ მარტო თამაშობით არტისტი ვერას გააწყობს, თუ ხმა არ შეხწევს, ბ. გორდის ხმა-კი ნახევარზედ არ ისმოდა. ანსამბლებში სულ იკარგება და ცნობილის ბალლადით მეოთხე მოქმედებაში ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, როგორითაც სხვა მეფისტოფელი — არტისტები თავს იჩენენ ხოლმე.

«ფაუსტის» ამსრულებელს ბ. ლიუბინზედ სჯობს სრულიად გავჩუმდეთ,—არც ხმა აქვს, არც თამაშობა იცის, არც მიხვრა-მოხვრა უვარგა, ამიტომ ფაუსტი—ლიუბინი სულ არ ვარგოდა და, ჩვენის აზრით, ამ ტენორს არ უნდა მიეცეს ხოლმე პირველი როლები. ვალენტინის როლს ასრულებდა ბ. ობრაზცოვი. ამ არტისტს პატარა ბარიტონის ხმა

მაგრამ ყოველსავე ნაბიჯს თუ მიხვრა-მოხვრას, ხელის ქნევას, თუ მოძრაობას უპირველესად უნდა ჰქონდეს აზრად სასიამოვნო, თვალ-მოსაწონი ესტეტიური ხასიათი.

ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“ მ. საფაროვისა და ვ. აბაშიძის წყალობით მხიარულად შეასრულეს. მ. საფაროვისა, როგორც ამ ვოდევილში, აგრეთვე „ციმბირელში“ საუცხოვო რამ იყო წინანდელსავით. კარგები იყვნენ აგრეთვე ვოდევილში ბ-ნი სვიმონიძე და ადამიძე.

—

გუშინ-წინ, თუმცა გამოცხადებულ იყო კომედია „ბედნიერი დღე“, მაგრამ წარმოადგინეს ავ. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. კომედიამ ჩინებულად ჩაიარა. აქაც, როგორც წინანდელს წარმოდგენაში, აშკარად დაეტყო არტისტების თამაშობას ერთ-გულობა და ერთ-სულობა. ეგრედ წოდებული „სიმართლის ტონი“-თ დაიწყეს პიესა და ბოლომდე ცხოველად გაატარეს, მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე დიდ ძალი ხალხი ტრიალებდა. წარმოდგენას ეტყობოდა, რომ აქტორები შეთანხმებულ იყვნენ და ერთად ეწეოდნენ უღელს. გიჟუას როლში ბ-ნ გამყრელიძემ კიდევ ერთხელ დაგვანახა და დაგვიმტკიცა, რომ მას ბადალი არა ჰყავს ადგილობრივ ტიპების გამოსახვაში: ჩვენ იშვიათად გვინახავს აქტორი ისე შეთანხმებული ყოველ მხრივ ავტორის სურვილთან. ვ. აბაშიძემ სომხის როლში სიცილით დახოცა მთელი თეატრი. მ. საფაროვისა უბრალო და პატარა სოფლის გოგოს როლში შეუდარებელი იყო. კინტოებში მარტო გალუსტოვი იყო კარგი, დანარჩენები ცდილობდენ კინტოს დახატვას, მაგრამ საუბედუროდ ამაოდ ჩაუარათ ცდამ. ბ ნ შათირიშვილს ვურჩევთ შესაფერი გრიმი გაიკეთოს ხოლმე, თორემ სად უნახავს ბ-ნ შათირიშვილს ულვაშ აბზეკილი და ყირმიზი კინტო. ზაქ. საფაროვს ცუდ ჩვეულებად დასჩემებია, უადგილო ჭიმვა-ბლინძვა უბრალო და მართებულის თამაშობის მაგიერად. სოფლის გოგოები ყველანი კარგები იყვნენ. ბ-ნი კანდელაკი და სვიმონიძე როლებისა დაგვარად კარგად თამაშობდნენ.

ვოდევილი „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“ მხიარულად ჩაატარეს. ჩვეულებრივად მეტად სასაცილონი იყვნენ ლომაძე და მახოხაძე (ბ-ნი აბაშიძე და გედევანოვი). სვიმონიძე აქტორ თაიგულოვის როლში პირველად ვნახეთ და ძრიელ მოგვეწონა. ქბ.ნი გარგარელისა არტისტ ქალ თაიგულოვის როლში ბევრად უკეთესი იყო ვიდრე წინა როლებში. ახალგაზდა მოთამაშეს სცენის უნარი აქვს, ხოლო საჭიროა პატრონი და ბეჯითი გამწვრთნელი; სასცენო გარეგნობა კარგი აქვს, ხმაც, ხოლო არც ერთისა და არც მეორის მოხმარება არ იცის და არ ცოდნას კიდევ შველის სწავლა, შრომა და ყურადღება.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს, მაგრამ კარგად და გრძნობით მღერის და ვალენტინის როლში არა უჭირდა-რა.

—

ოპერის დასასრულს გამართული ცოცხალი სურათი—აპოთეოზი—მეტის მეტად უშნოდ და უგემურად იყო შედგენილი და განათებული.

—

ოთხშაბათს, 13 ნოემბერს, წარმოდგენილმა ჩაიკოვსკის ოპერამ „ევგენი ონეგინ“-მა უხეიროდ ჩაიარა. თუ ქ. მარშადის (ტატინა) და ობრაზცოვის (ონეგინი) სუსტი ხმების მოსმენა შეიძლებოდა პატარა მაინც სიამოვნებით, ლენსკი—ბ. სერბინი ყოველს სიამოვნებას აქრობდა და მსმენელთ ნერვებს უშლიდა. ამ ტენორს ხმა სრულიად არა აქვს შემუშავებული; დაბალი ხმა მისი სულ არ ისმის, ხოლო მაღალ ხმებს-კი ვერ ახერხებს და სიმღერის მაგიერ უსიამოვნოთ ყვირის.

## ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ 18 ნოემბერს, 12 საათზედ, სემინარიაში მოხდება საჯარო ვაჭრობა 1897 წლისათვის იჯარით გასაცემად სურსათისა, საკანცელარიო ნივთებისა და სხვა საგნებისა. აგრეთვე საწვრთნელ იჯარადარი ფეხ-საცმელის შესაკერად. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე სემინარიის კანცელარიაში დილის 6 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დილით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 21 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

## ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

### ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადის, ღამეს ათენს ფასანაურში. მიდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავ-

მეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

### კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათენს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათევენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

### ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სასმელ-წითელ ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

# განცხადებანი


წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

მოიკითხეთ შემდეგი წიგნები,

შედგენილი და ანუ გამოცემული

მ. ჯანაშვილის—მიერ.

ა) შოთა რუსთაველი, . . ფ. 40 კ.
ბ) ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი . . . „ 40 კ.
გ) მ. ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი. . . . „ 10 კ.
დ) ისტორია მართმადიდებელ ეკკლესიისა . . . . „ 40 კ.
ე) გეოგრაფია ქართლისა (შედგ. ვახუშტის მიერ). „ 25 კ.
ვ) სამცხოსა (მისივე) . . . „ 25 კ.
ზ) ათასერთი ღამე (თარგმანი) „ 40 კ.
ჱ) მწერლობა მეათე საუკუნისა „ 40 კ.
თ) საუნჯე მეათე საუკუნისა „ 20 კ.
ი) საქართველოს ისტორია „ 70 კ.
ია) ალვადგინე . . . . . . . „ 30 კ.

(4—4)

მიიღება 1897 წელს

სასოფლო მეურნეობისა, ეკონომიის და ჰიგიენის

ყოველ-კვირეული ჟურნალი

„მეურნე“

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

ჟურნალის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის“ რედაქციას, გეგუთის ქუჩის გადასახვევში, ჭყონიას სახლში, № 10; „მეურნის“ რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვიმონოვის შენობაში, გუბერნატორის სახლის პირდაპირ და ყველა წიგნის მაღაზიებს; ზუგდიდში ბ-ნ ირაკლი ქაიხოსროს ძეს კალანდარიშვილს; ოჩამჩირეში ბ-ნს სპირიდონ ნორაკიძეს; ოქუმში ივანე კ. გეგიას; სურამში ბ-ნს იოსებ მესხს; საჩხერეში ბ-ნს უჩამან ჩხეიძეს; ხიდისთავში ბ-ნს სილ გიორგის ძეს ბერიძეს; კიწაში აზნ. დავით ჩახბაიას და ხონში თ-დს ილია ალექსის ძეს წულუკიძეს.

ჟურნალის ფასი—წლით ხუთი მანათი, ნახევარის წლით სამი მანათი.

ვინც ჟურნალზე საგაისოდ წრეულს მოაწერს ხელს და ხვედრს ფულსაც გადიხდის, მას ფულის შემოტანის დღიდგან გამოსული წლევანდელი ნომრები გაეგზავნებათ უსასყიდლოდ.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція „МЕУРНЭ“

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

*(третій годъ изданія)*

на ежедневную политическо-общественно-литературную газету

„ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ“

„ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ“—органъ Черномарья и Закавказья—**первая и единственная на всемъ восточномъ побережьѣ Чернаго моря русскня газета**—выходитъ въ Батумѣ, ежедневно, за исключеніемъ послѣпраздничнихъ дней, по полной программѣ столичныхъ политическо-литературныхъ ежедневныхъ изданій, утвержденной г. министромъ внутреннихъ дѣлъ.

„ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ“, вступая въ 3-й годъ изданія, останется вѣрнымъ своей задачѣ и, выясняя нужды и положеніе побережья и Закавказья, будетъ, какъ и раньше, служить точнымъ и правдивымъ отраженіемъ мѣстной жизни во всѣхъ ея разнообразныхъ проявленіяхъ.

Въ теченіе 1897 года будетъ напечатанъ рядъ статей изъ гражданскаго уложенія турецкаго законодательства, касающихся владѣнія недвижимою собственностью по турецкимъ законамъ, съ цѣлью ознакомленія читателей съ земельнымъ вопросомъ, столь существеннымъ для Батумскаго округа. Кромѣ того будутъ напечатаны слѣдующія статьи постоянныхъ сотрудниковъ „Черном. Вѣстн.“: „Сельское хозяйство на восточномъ побережьѣ Чернаго моря“, „Русскій чай и чайныя плантаціи на Чаквѣ близь Батума“, „Кавказскія ископаемыя богатства“, „Борьба съ разбоями на Кавказѣ“, „Флора Кутаисской губерніи“, „Марганцевая промышленность“, „Нефть и ея новыя залежи“, „Золото въ долинѣ Чороха“, Батумъ, Сухумъ и Поти“, „Школьное дѣло на Кавказѣ“, „Кавказскіе лѣса“, „Задачи правительства въ Черноморской губерніи“, „Русскій человѣкъ на Кавказѣ“, „Культурность и кинжалъ“, „Климатическія станціи на побережьѣ“, „Наши пути сообщенія“. „Кавказскіе самоуправцы“, „Русскій языкъ въ инородческихъ школахъ“, и др.

Подписка принимается на срокъ съ 1 числа любого мѣсяца и не далѣе какъ до конца года.

Подписная цѣна: **на годъ**—для городскихъ подписчиковъ, съ доставкой, 6 руб.,—для иногородныхъ, съ пересылкой. 7 руб.,—за границу 13 руб.; **на полгода**—для городскихъ 4 руб., дла иногородныхъ 5 руб., за границу 9 руб.; **на одинъ мѣсяцъ**—для городскихъ 1 руб., для иногородныхъ 1 руб. 20 коп. Разсрочка платежа по соглашенію съ конторой изданія.

ТАРИФЪ ОБЪЯВЛЕНІЙ: на 4-й страницѣ, за мѣсто, занимаемое строкою петита, съ мѣстныхъ объявленій—8 коп., съ иногородныхъ—10 коп.; на 1-й страницѣ—вдвое. При многократныхъ объявленіяхъ—скидка.

Объявлешя изъ-за границы и Россійской Имперіи, за исключеніемъ Кавказа, Закавказья и Закаспійской области, принимаются исключительно въ Центральной конторѣ объявленій торговаго дома Л. и Э. МЕТЦЛЬ и К-о, въ Москвѣ (Масницкая, домъ Сытова) и въ Петербургѣ (Болшая Морская, 11).

Подписка принимается: въ Батумѣ—въ конторѣ „Черноморскага Вѣстника“ (Оглобжинская, д. Таирова), въ Петербургѣ и Москвѣ—въ конторахъ Л. и Э. Матцль и К-о, въ Тифлисѣ—въ книжиомъ магазинѣ Хиддекеля.

Розничная продажа №№: въ **Батумѣ**—въ конторѣ газеты, на вокзалѣ Закавк. жел. дор., у газетчиковъ на пристаняхъ и на бульварѣ, и пр., **въ Сухумѣ, Поти, Новороссійскѣ**—у газетчиковъ пароход. Русс. Общества. **въ Кутаисѣ**—у г. Куденка, **въ Тифлисѣ**—у г. Хиддекеля. Кромѣ того, на всѣхъ почтово-пассажирскихъ пароходахъ Русскаго Общества пароход. и торг., на пароходахъ Азовскаго Общества и у газетчика пар. Россійскаго Общ., „Марія“ (по всѣмъ Крымско-Кавказскимъ портамъ. Цѣна отдѣльнаго нумера 5 коп.).

При газетѣ—батумское отдѣленіе Россійскаго телеграфнаго агентства, съ пріемомъ отдѣльной городской подписки на биржевыя телеграммы (15 ру9лей въ годъ), выпускаемыя особыми бюллетенями два раза въ недѣлю.

Редакторъ-Издатель Г. А. ПАЛЬМЪ. (1—6).

მკერავი ტანისამოსისა ევროპიული

ონისიმე დავითის ძე სალაყაია

ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო. ქარვასლა, მაღაზია № 24.

ღებულობ ვაკაცების ყოველგვარ ტანისამოსთა კერვას, შედარებით ვებთანხ იაფად. საქმეს ვასრულებ წმინდად და დროზედ.

**Портной О. Д. Салакая**

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинск. Дворянства, № 24.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია